

თავისუფალი საქართველო

№ 8
12-18 მარტი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

რისთვის დასჭირდათ ჩვენებს გროზნოს უბნები?

ჩვენური სოფლების - ალერის, ცენტრის, ბაშუტის, თისხარის (ნოვოგროზნოსკი), გეხის განადგურების შემდეგ, ჩვენთვის-ინგუშეთის სახელმწიფო მდებარე სოფლის - სერნოვოდსკის ვერი დადგა. თავდაპირველად სერნოვოდსკი 15 000 მოსახლე ცხოვრობდა, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ ეს რიცხვი გაორმაგდა, რადგანაც სოფელს უამრავმა ლტოლვილმა შეაფარა თავი. ფედერალური ჯარების მორიგ სამიხუნდაც ეს მჭიდროდ დასახლებული ადგილი იქცა... რუსებმა მიიღეს ტექნიკით აღჭურვილი არტილერიის და დაიწყეს საარტილერიო და საავიაციო დაბომბვა. მოსახლეობას არ მიეცა საშუალება დაეტოვებინა სოფელი; ხოლო ვინც იმ უბედურებას თავი დააღწია, ინგუშეთის ტერიტორიაზე გადავიდა. სერნოვოდსკი "მიუყალიბა" აღმოჩნდა წითელი ჯვრის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებისთვის. ყველაფერი ცხადყოფდა იმას, რომ რუსების მიზანი იყო მშვიდობიანი ჩვენნი მოსახლეობის ბლოკირება და ამ ადგილის უმოწყალოდ დაბომბვა სრული განადგურების მიზნით.

რუსეთის ჯარებს მშვიდობიანი მოსახლეობისადმი დამოკიდებულება ვერც ადრე დასწამებდნენ, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აშკარად გამოავლინა მათი უმთავრესი მიზანი - ებრძოდნენ არა მხოლოდ შეარბილებულ მოქორწინებულ ნებისმიერ ჩვენს - ქალს, ბავშვს, მოხუცს...

დღეს, როდესაც მივლს მსოფლიოში ასე უმჯობესდებიან არაან "ზოგიერთი ფანტაზიის" მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტებით იერუსალიმში, ოკლანდში, ან თუ ლონდონში, უცნაურია - რატომ ეუბნებიან ხედავს რუსეთის სახელმწიფო ტერორიზმს, რომელსაც იმი-

რის ხელისუფალი "კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას" უწოდებენ და რომელიც შეუბრალდებლად ანადგურებს უდანაშაულო და უწყინო ადამიანებს?! რუსეთის ხელისუფალი ცინიზმი იმაშიც მდგომარეობს, რომ საარტილერიო კონტაქტები და "გრაფების" სეტყვა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ელცინმა მოუხშირა სამშვიდობო განცხადებების კეთებას. ჩანს, რუსეთის პრეზიდენტს სურს, რომ იმ დროისთვის, როცა იგი იძულებული იქნება გადადგას გარკვეული სამშვიდობო ნაბიჯები, თუნდაც რუსი ამომრჩევლის გულის მოსაგებად, ჩვენთა წინააღმდეგობა უკვე გატეხილი იქნეს, ხოლო ხალხი - განადგურებული ან უკიდურესად დათრგუნული...

მოვლენათა განვითარების ამავე ტრილში უნდა იქნეს განხილული ჩვენთვის დედაქალაქში მომხდარი ბოლოდროინდელი დაპირისპირება. გამორიცხული არ არის, და ამას ზოგიერთი მომომხილველიც ვარაუდობს, რომ რუსებს ჩვენური სოფლების დაბომბვით სურდათ ჩვენთა მხრიდან ახალი, უარითმასშტაბიანი ოპერაციის პროვოცირება, რათა შემდეგ ერთიანი ძალით უფრო იძლიერებულად გავადგურებინათ ისინი, მაგრამ რუსები ვერ წარმოიდგენდნენ შეტევის ასეთ დიდ მასშტაბებს და ამხელა მსხვერპლს თავის ჯარში.

რუსეთის ხელისუფლების ასეთმა "გაუფრთხილებელმა თამაშმა" ცვცხლთან შედეგად ის მოიტანა, რომ თვით დოკუმენტაციის რეზიუმეცა - აერობორტის (საიდანაც თვითმფრინავები მხოლოდ მოსკოვში ფრინავდნენ) - საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ზაგაგავს ისევ მოხუც და "სამედიკალური" დატოვება და ხიზანა ელცინის მოსკოვურ კაბინეტს შეაფარა თავი... წასვლამდე მან "სიბრძნისა და გო-

ნიერებისკენ" მოუხმო ჩვენს ხალხს და შეახსენა, რომ "ბევრი ერი გადაშენებული და განადგურებულია ფიზიკურად..." ეს არაორაზროვანი განცხადება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საკუთარი ხალხის უბოროტესი მტრის - რუსების - ტანკებსა და ხიშტებს ამოფარებული რენეგატის ამასრუნეს სახეს (შეადარე ედ. შევარდნაძის მიერ რუსის ჯარის შემოყვანა დასავლეთ საქართველოში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და მოსახლეობის დაშინება საავიაციო დაბომბვის მუქარით).

ისმება კითხვა - რისთვის სჭირდებათ ჩვენებს გროზნოს უბნები? დღეს, როდესაც გროზნოში ბრძოლები ისევ მიმდინარეობს, იქნებ ნადრევიც იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთის თქმა ახლაც შეიძლება: შეტევა გროზნოზე იყო ჯობარ დედაგვის, როგორც ჩვენთვის რესპუბლიკის პრეზიდენტის, პასუხი მისი ხალხის უმოწყალო ხოცვა-ჟლეტისთვის და რუსეთის ბარბაროსობისთვის; ნიშანი იმისა, რომ მტრის ამგვარი ქმედება დაუსჯელი არ დარჩება (გროზნოს ბრძოლებში დაიღუპა 200 და დაიჭრა 500-ზე მეტი რუსი). ამასთანავე, გროზნოს სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა საგრძნობი დარტყმა მიაყენა ელცინის "სამშვიდობო ინიციატივებს" და არჩვენების წინ ამ "სამშვიდობო ვარიანტებით" კვლავობის საშუალება მოუპოვა მას.

რაც მთავარია, გროზნოში კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენს ხალხის სრული მხარდაჭერა კანონიერი პრეზიდენტისადმი: 6 მარტის დილას მიუღი გროზნო აღურთოვანებით შეეგება დედაქალაქის განსათავისუფლებელ ჩვენს პატრიოტებს.

ნუგზარ წიკლაური

კონსტანტინე გამსახურდია ზვიად გამსახურდია დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წივნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)



თავი მეორე

ორი სულიერი ქა (გაგრძელება)

"კოლხური კოშკის" საგანძურში მეგობრებმა აღმოაჩინეს დოქტორ რუდოლფ შტაინერის წიგნები. ბერლინში სწავლის პერიოდში კონსტანტინე გამსახურდია ხშირად იმეხნა მის ლექციებს, რომელთა შესახებ ახალგაზრდებსაც საამოვნებით ესაუბრებოდა. ზვიადის და მერაბის სულიერი განვითარების პროცესი მუდმივად საურთხესთან იყო დაკავშირებული, რადგან ანთროპოსოფია ანტისაბჭოთა მსოფლმხედველობად ითვლებოდა და ვისაც ანთროპოსოფიული ლიტერატურა აღმოაჩნდებოდა, "გულაგი" არ ასცდებოდა.

თანამებრობლებმა ირაკლი რამიშვილთან შექმნეს საშუალო წრე. მათი უფროსი თანამოაზრე ლინგვისტიკის დოქტორი,

(გაგრძელება მე-4 გვ.)

სოციალისტური რესტავრაციის ეპოქური სახე ჰილარ ალიაშვილის პიზიტიის ფონზე

უძრავობის დროინდელი ნიშნებით, თარიღებითა და სახეებით შემოვიდა საქართველოში ნაკიანი წლის გაზაფხული და პირველი ყვავილები გვიძღვნა: დაიწყო 8 მარტი საბჭოთა ესტრადის ჩამქრალმა ვარსკვლავმა - ბუღბუღ ოდლიმ მიულოცა ჩვენს ნაცემ და ნაგვემ ქალებს; ჰეიდარ ალიევის ვიზიტმა, პომპეზური ცერემონიალებით, რომელთა უზადობას პოლიციური რეჟიმის მიუღი არსენალი უზრუნველყოფდა, ღამის სიცრეალისტური ოპტიმიზმით აგვავსო. გაზაფხული საუკუნის გრანდიოზული მშენებლობების პროექტებით დაიწყო...

ძველი, სოციალისტური სამოთხისგან განსხვავება მაინც შეიმჩნევა - თუნდაც პიში, დროშა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმალური სტატუსი, რაც ყველაზე მეტად რატომღაც აეროპორტში მაღალი სტუმრების დახვედრა-გაცილებისას შეიგრძნობა. ისიც უდავო მდღევანეა, თუმცა კი კომიკური ვანრის ფარგლებში მოქცეული, რომ შეიარაღებული შეთქმულების გზით გაპრეზიდენტებული ორი პირველადინი კომუნისტი, პოლიტიბიუროს წევრი ერთმანეთს "მის აღმატებულებას" უწოდებს.

სხვათა შორის, ასევე პრინციპულად შეიცვალა საუკუნის მშენებლობების ხასიათი - სააღმშენებლო მოედნებისა და ნიშნულატურული ციხესიმაგრეების ნაცვლად, აწნებენ ეკლესიას... მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამოიყოფის გიგანტომანიის სოციალისტური სინდრომი - მომავალი კათედრალური ტაძარი ელი-ას მთაზე საქართველოში ყველაზე დიდი ეკლესია იქნება (თუმცა ეკვიპატის პირამიდებზე პა-

ტარა!).

ვისაც არ ემის, რომ დამშუული და დაქცეული ქვეყნის საკეთმპრობელი და მღვდელმთავარი ერის სულიერ სრულყოფაზე ზრუნავენ, იმის თქმასაც გაბედავს, რომ ამ მორიგ მასშტაბურ ღონისძიებაზე გამოყოფილი შთაბეჭდავი ოდენობის თანხებით უპირანი იქნებოდა დანგრევის პირას მისული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის მქონე, ღვთის მადლითა და ერის ცრემლებით ცხებული ასეულობით ეკლესიის აღდგენა. მაგრამ არა, მეუფე ამა სოფლისა ცვლილობს, ყველაფერს დაასვას თავისი ნიშანი და მომავლის ცნობიერებაში დაამკვიდროს ედუარდ-გიორგის ეპოქის კიდევ ერთი სიმბოლო.

მეორე გრანდიოზული პროექტი - ნავთობის გზა - რომელიც, მილიონ საშუალო ადგილიან ერთად, დოლარების წვიმასა და ევროპულ კეთილდღეობას გეგმობდა, თურმე ნუ იტყვი, ყველა კავასიური პრობლემის მოგვარების გასაღებიც ყოფილა. ასე რომ, "ზოგიერთი მილსადენების საშუალებების(?) განახლებისა და ახალი მილსადენების მშენებლობისა და ექსპლუატაციის" ხელშეკრულებები, ანუ სხვაგვარად, თავად ალიევის სიტყვებით

რომ ვთქვათ - "მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრასა" - მშვიდობიანი კავასის საწინდარი ყოფილა.

რაც მთავარია, ეს ყველაფერი ისტორიულია, ეპოქალური, მასშტაბური... ასე რომ არ იყოს, თერთმეტი ქვეყანა - მათ შორის, განვითარებული, კაპიტალისტური, ევროპული - არ მიანიჭებდა ესტოდენ დიდ მნიშვნელობას ამ "მეგობრობის ტრასას". ასე რომ, ალიევის ვიზიტისთვის უდავოდ დიდია თანხების გაღება ქალაქის ცენტრალური პროსპექტების შესაღამაზებლად.

როგორც ოფიციალური კომენტატორი იტყვოდა - "ასეთი დონის ვიზიტების დრმა ანალიზი და შეფასება პოლიტოლოგების საქმეა" და, ალბათ, კიდევ დროის. ვნახოთ, რას გეგმავს ნავთობის ტრანსკავასიურ-პლანეტარული პროექტი იმ სატრანსპორტულ ქვეყნებთან განსხვავებით, რომლებიც ნავთობის გზამ არათუ არ გაამდიდრა, პირიქით - დააქცია კიდევ.

მანამდე კი ყურადღებას მივაპყრობთ ერთ დეტალს (რას არ შეამჩნევს არაკეთილმოსურნე თეალი): თბილისიდან გაზაფხურების წინ "მისი აღმატებულება" ან. ალიევი, საქართველოს ხელისუფ-

ლების მაღალი ეშვლონების წარმომადგენლებთან დამშვიდობებისას, საგანგებო გულიანობით მოეპყრო ზურბა ვვანასა და ლევან მამალაძეს - ორივეს დიდხანს ესაუბრა და მხარზე ხელი უთათუნა. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ინტერესს ქვემო ქართლის ახალგაზრდა გუბერნატორის მიმართ, უდავოდ, პოლიტიკური მოტივაცია აქვს და იმედსაც კი ბადებს, რომ თბილისში ხელმოწერილი შეთანხმება "ეროვნული და კონფესიური შეწყვეტა-ბლობის შესახებ" თანაბარი ძალით იმოქმედებს როგორც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების, ისე საინგილოდ წოდებული ისტორიული შერეთის ქართველობის დასაცავად.

მაგრამ, საინტერესოა, რითი დაამსახურა მაღალი სტუმრის ესოდენ დიდი ინტერესი პარლამენტის სპიკერმა, როცა სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკი-შვილი მხოლოდ ფორმალური ხელის ჩამორთმევის დროს აღმოჩნდა?

ასე რომ, ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები ამ ყოფლისმომცველი ვიზიტის შემდეგაც ბადებს კითხვებს...

რომანოზ საკინაშვილი

დახვის საბითონს უპარტის პრეზიდიუმის "საქართველო" წევრები

ინტერვიუ ალვოკატ თაბარ ლაზარაძესთან

კორესპონდენტი: - ქნო თაბარ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ წარმოადგენთ სიკვდილმისჯილ პეტრე გელაბაძის ინტერესებს. განაჩენის გამოტანის დღიდან ერთი წელი გავიდა, რაიმე ხომ არ შეიცვალა?

თაბარ ლაზარაძე: - გასული წლის ივლისის ბოლოს ჩვენ საჩივარი შევიტანეთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის - ბნე მინდია უგრეხელიძის სახელზე. თქვენთვის ცნობილია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯ. ყიფიანი კორიგებდა "გამსახურების" და მის მიმართულებას "საქმე", ე.ი. დაინტერესებულ პირს წარმოადგენს ამ საქმეში. პასუხი ტრადიციულად ტრადიციულად იყო: "უსაფრთხოების გამო, ამ საქმეზე პროტესტი არ დაიწერება". ნოემბერში საჩივარი შეტანილი იქნა პროკურატურაში. იგი გადაეცა სასამართლო აქტების განხილვას, ხედავდნენ, რომ აქტების განხილვას ხედავდნენ, რომ აქტების განხილვას ხედავდნენ, რომ აქტების განხილვას ხედავდნენ...

კორ. - ჩვენთვის ცნობილია გახდა, რომ პეტრე გელაბაძისა და ირაკლი დოკუაძის პროტესტის ნიშნად მოითხოვეს პროკურატურაში შეტანილი საჩივრების გამოტანა.

თ. ლ. - დიახ, მათი პროტესტი გასაგებია, რადგანაც საჩივარს იხილავდა იგივე ინსტანცია, რომელიც მათ საქმეს ტენდენციურად იხილავდა და რომელმაც მათ ბრალი წაუყენა.

კორ. - თქვენს პროტესტზე უარის თქმის რაიმე საფუძველი თუ არსებობდა?

თ. ლ. - განაჩენი რომ უკანონოა და მისი გაუქმების საფუძველი რომ არსებობს, ამის კონკრეტულ მაგალითებს ახლავს დაგისახელებთ:

- გელაბაძისა და დოკუაძის ბრალად ედებათ ნიქოზის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების მოწყობა. ამ დანაშაულისთვის მათ მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა. სასჯელის ეს ზომა კი საქართველოში ადარ მოქმედებს 1992 წლის 21 თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში ამოქმედდა 1921 წლის კონსტიტუცია. ამ დოკუმენტის მე-19-ე მუხლით, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

- გელაბაძის, ისევე, როგორც დოკუაძის დანაშაულები არის ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ს 67-ე მუხლის პირველი ნაწილით და განაჩენის მითითებულა ამ მუხლის სსკ-ს 1991 წლის 2 აგვისტოს რედაქცია. მათთვის ბრალის წარდგენის მომენტში ასეთი მუხლი (67-1) სისხლის სამართლის კოდექსში ადარ არსებობდა - უკვე ამოღებული იყო. ფაქტობრივად, მათ მიუყენეს მუხლის არარსებული ნაწილი. ასეთი რედაქცია, არც ბრალდება უნდა წარედგინათ და არც განაჩენი გამოეტანათ. რადგან ეს ასეა, ე.ი. სასამართლოსთვის მინერალის არ არსებობს სს კოდექსის რედაქტირებას და მათინ გამორის, რომ მოსამართლეს შეუძლია თავისი სურვილისამებრ გამოიყენოს კოდექსის ნებისმიერი ნაწილი მოუხედავად იმისა, მოქმედებდა იგი, გაუქმებულია, თუ ძველი რედაქცია არის მოცემული.

- რაც შეეხება თვით ძიებას, სისხლის სამართლის სამართლებრივი კანონის დარღვევის კლასიკური ნიმუშია წინასწარ ძიება. გელაბაძისა და დოკუაძის ბრალად ედებათ ნიქოზის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების მოწყობა. ამ დანაშაულისთვის მათ მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა. სასჯელის ეს ზომა კი საქართველოში ადარ მოქმედებს 1992 წლის 21 თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში ამოქმედდა 1921 წლის კონსტიტუცია. ამ დოკუმენტის მე-19-ე მუხლით, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

სხვათა შორის, ამ პროცესის დარღვევების სერიალს ემატება თუნდაც გოლა მახვილადის დაცვის საკითხი. მოგეხსენებათ, ამ განსაჯელს არ მიეცა საშუალება პულოდ და მისთვის სასურველი ადვოკატი და პროცესის ბოლომდე მას არც დამცველი ჰყავდა და არც თვითონ ესწრებოდა სასამართლოს. მე პროცესს ვესწრებოდი მახვილადის დაცვის ორდერით ხელში, მაგრამ კოლეგია არ დამიშვა პროცესის მონაწილე... თუმცა, როგორ უნდა მოსთხოვო სასამართლო კოლეგიას განაჩენის გამოტანა დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებებისამებრ, როდესაც ჩემი მახვილადის ადვოკატად დანიშნა პროცესზე გადაწყვეტა სახელმწიფო მეთაურის ერთ-ერთ მინერალს "მხედრობის", ამჟამად პატიმრობაში მყოფს, პროცესით უარისტს...

კორ. - თქვენ დღესაც იცავთ მახვილადის?

თ. ლ. - ეს მართლაც არაორდინარული შემთხვევაა. მახვილადე მანუფრუსეთის ახლად არჩეული სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა - ს. ოუშენკოვმა და ი. რიბაკოვმა ა.წ. იანვარში წერილი მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარეს კ. კოკოვეს (სარეგისტრაციო № 18/2). მასში გამოთქმულია დაცვითი თხოვნა, რათა "არ განხორციელდეს ადამიანთა უფლებების დარღვევა სასამართლო განაჩენის ირაკლი დოკუაძისა და პეტრე გელაბაძის მიმართ." რუსეთის დეპუტატები, საერთაშორისო პუბლიცისტური ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენებებზე დაყრდნობით, აცხადებენ, რომ განაჩენი უსამართლოა, რადგან პატიმართაგან ჩვენებები მიღებულია ბავშვების მიმართ. მუქარის გზით; სასამართლო გამოძიება მიმდინარეობდა უხეში დარღვევებით; როგორცაა დაცვის უფლების უგულვებელყოფა, არაკომპეტენტური ტექნიკური ექსპერტიზა; საქმე № 7493810 აღძრულია ხსენებული პირებისადმი ინკრინინირებული დანაშაულის ჩადენილად რამდენიმე თვით ადრე.

რუსი პოლიტიკოსები ყურადღებას იმ ფაქტზეც ამახვილებენ, რომ "ჯ. იოსელიანზე თავდასხმის მცდელობა (რომელიც ამჟამად პატიმრობაშია მთელ რიგ დანაშაულობათა ჩადენის ბრალდებით) გახდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯის ადვანის საბაბი. ამგვარად, განაჩენის აღსრულების შემთხვევაში საქმე გვექნება უკუქცევითი ძალის პრინციპით კანონის გამოყენებასთან." წერილში გამოთქმულია შემოთავაზება ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესების თაობაზეც, მათ შორის უზენაესი საბჭოს დეპუტატების - ზ. ქობაიას და ნ. მოლოდინაშვილის და ოპოზიციური პოლიტიკური ძალების სხვა წარმომადგენელთა მიმართ. დასასრულ, რუსეთის დუმის დეპუტატები - ს. ოუშენკოვი და ი. რიბაკოვი მიმართავენ კ. კოკოვეს, რათა

რუსეთის ახლად არჩეული სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა - ს. ოუშენკოვმა და ი. რიბაკოვმა ა.წ. იანვარში წერილი მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარეს კ. კოკოვეს (სარეგისტრაციო № 18/2). მასში გამოთქმულია დაცვითი თხოვნა, რათა "არ განხორციელდეს ადამიანთა უფლებების დარღვევა სასამართლო განაჩენის ირაკლი დოკუაძისა და პეტრე გელაბაძის მიმართ." რუსეთის დეპუტატები, საერთაშორისო პუბლიცისტური ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენებებზე დაყრდნობით, აცხადებენ, რომ განაჩენი უსამართლოა, რადგან პატიმართაგან ჩვენებები მიღებულია ბავშვების მიმართ. მუქარის გზით; სასამართლო გამოძიება მიმდინარეობდა უხეში დარღვევებით; როგორცაა დაცვის უფლების უგულვებელყოფა, არაკომპეტენტური ტექნიკური ექსპერტიზა; საქმე № 7493810 აღძრულია ხსენებული პირებისადმი ინკრინინირებული დანაშაულის ჩადენილად რამდენიმე თვით ადრე.

რუსი პოლიტიკოსები ყურადღებას იმ ფაქტზეც ამახვილებენ, რომ "ჯ. იოსელიანზე თავდასხმის მცდელობა (რომელიც ამჟამად პატიმრობაშია მთელ რიგ დანაშაულობათა ჩადენის ბრალდებით) გახდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯის ადვანის საბაბი. ამგვარად, განაჩენის აღსრულების შემთხვევაში საქმე გვექნება უკუქცევითი ძალის პრინციპით კანონის გამოყენებასთან." წერილში გამოთქმულია შემოთავაზება ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესების თაობაზეც, მათ შორის უზენაესი საბჭოს დეპუტატების - ზ. ქობაიას და ნ. მოლოდინაშვილის და ოპოზიციური პოლიტიკური ძალების სხვა წარმომადგენელთა მიმართ. დასასრულ, რუსეთის დუმის დეპუტატები - ს. ოუშენკოვი და ი. რიბაკოვი მიმართავენ კ. კოკოვეს, რათა

რუსეთის დეპუტატები იხავენ ქართველ პოლიტიკოსებს

რუსეთის ახლად არჩეული სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა - ს. ოუშენკოვმა და ი. რიბაკოვმა ა.წ. იანვარში წერილი მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარეს კ. კოკოვეს (სარეგისტრაციო № 18/2). მასში გამოთქმულია დაცვითი თხოვნა, რათა "არ განხორციელდეს ადამიანთა უფლებების დარღვევა სასამართლო განაჩენის ირაკლი დოკუაძისა და პეტრე გელაბაძის მიმართ." რუსეთის დეპუტატები, საერთაშორისო პუბლიცისტური ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენებებზე დაყრდნობით, აცხადებენ, რომ განაჩენი უსამართლოა, რადგან პატიმართაგან ჩვენებები მიღებულია ბავშვების მიმართ. მუქარის გზით; სასამართლო გამოძიება მიმდინარეობდა უხეში დარღვევებით; როგორცაა დაცვის უფლების უგულვებელყოფა, არაკომპეტენტური ტექნიკური ექსპერტიზა; საქმე № 7493810 აღძრულია ხსენებული პირებისადმი ინკრინინირებული დანაშაულის ჩადენილად რამდენიმე თვით ადრე.

სტირებულია 1992 წლის 3 აგვისტოს და მიუხედავად ამისა, დღემდე პატიმრობაში იმყოფება. საჩივრის ხელმძღვანელობის წესით შესაძლებელია, ამჟამად წარმოადგენ მსჯავრდებულ გონა მახვილადის, მაგრამ ვერ გახორციელდება ჩემს მოვალეობას, რადგანაც ზემოაღნიშნული საქმე თვეების მანძილზე "დასკვნის დასაწერად" პროკურატურას აქვს გათხოვილი.

კორ. - ამჟამად კიდევ რომელ პოლიტიკოსებს იცავთ?

თ. ლ. - წინასწარი გამოძიების ეტაპზე ვიკავი ბრალდებულ გიორგი ყორბესაშვილს.

კორ. - ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ ბრალდებულს წინასწარი ძიების საწყის ეტაპზე სამჯერ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. შეგვიძლია თუ არა ამ პიროვნების და როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე - ფსიქიკურად სრულფასოვანია, თუ აქვს რაიმე გადახრა?

თ. ლ. - ბრალდებულ ყორბესაშვილს

სხვა სამჯერ შეგვიწვიოთ თქვენთვის ცნობილი მცდელობა. წერილობით შეგვადგინეთ, იგი მდგრადი ფსიქიკის მქონე პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს, ახორციელებს სხარტად. არავითარი გადახრა მისთვის არ შეიმჩნევა. ამას გარდა, მის საქმეში დევს სასამართლო-სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ყორბესაშვილი მიხნეულია შერაცხადად, ე.ი. ნორმალური ფსიქიკის მქონე პიროვნებად.

კორ. - 8 თებერვალს განსახველ შვიად ძიძგურის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადების თანახმად, გენერალური პროკურორის მოადგილე - აბალაშვილი დაემუქრა მას, რომ არასასურველი პოლიტიკური განცხადებების წარდგენისთვის ბრალდებებს დაუმიძიებდა მის მეგობრებს. მათ შორის, მასთან ერთად დაპატიმრებულ გიორგი ყორბესაშვილს. დაუმიძიებს თუ არა ბრალდება თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს?

თ. ლ. - ძიძგურის ამ განცხადების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ რაც შეეხება ყორბესაშვილის ბრალდების დამიძიებას, მას ბრალი წაუყენეს 16 თებერვალს და თავდაპირველ ბრალდებებს - დივერსიის მცდელობას (სსკ-ს 17-69) დამატებული აქვს სამშობლოს დამალვა (65-ე მუხლი) და ბანდიტიზმი (78-ე მუხლი). არ ვიცი, ეს უბრალოდ ამოხვევაა, თუ ბალუაშვილის მუქარის განხორციელება, მაგრამ ფაქტი სახეზეა.

ესაუბრა ნ. ჩენელაშვილი

პოლიტიკურ მონივრულად დავნა გრამდობა

რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები აქტიურად ეხმარებოდნენ და ეხმარებიან საქართველოს მმართველ წრეებს კანონიერი ხელისუფლების წარმოადგენელთა შევიწროებასა და დანაშაულებრივად, თუმცა 1995 წლის 15 სექტემბერს საქართველო-რუსეთის შორის ხელმოწერილი ორმხრივი "ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში" ჯერაც არ არის რატიფიცირებული არც რუსეთის და არც საქართველოს მხრიდან.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, საქართველოდან მოსკოვში ჩასული თანადგომის პირები გაუძღვებიან ითხოვენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა დაკავებას და მათი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადმოცემას.

1995 წლის დეკემბრის ბოლოს მოსკოვში დააკავეს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ორიდოული კომისიის თავმჯდომარე, აფხაზეთიდან დევნილი კონსტანტინე ფირცხალავა. სხვადასხვა ინსტანციებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ჩარევის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის - ოური სკურატოვის თანხმობით, სამი დღის პატიმრობის შემდეგ კ. ფირცხალავა გაათავისუფლეს. როგორც რუსეთის ოფიციალური პრესა აცხადებს, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის გათავისუფლების მიზეზი იყო მის მიმართ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ წაყენებული პოლიტიკური ბრალდების დაუსაბუთებლობა და არასაკმარისი და-

დახლოებით ამავე პერიოდში, გასული წლის 25 დეკემბრის მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამმართველოს №128 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი, ვალენტინის პრევეტის მოადგილე - ელგუჯა მესხია. იმავე დღეს მესხია მოსკოვის ოლქის შს განყოფილების "ბუტოვსკის" თანამშრომლებმა გადაიყვანეს მოსკოვის შს მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების ობოლტორში (პეტროვკა, 38). მესხიას მოსახლესულდელად მისულ ადვოკატს კატეგორიული უარი ეთქვა გასაუბრებლად თავისი დაცვის ქვეშ მყოფს, თუმცა თვითონ რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს არავითარი პრეტენზია არ განაჩინა დაკავებულის მიმართ.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატები: ვ. ივრუნოვის, ე. გაიდალის, ე. გომოშოვის, გ. იაკუბინის, ი. რიბაკოვის, ს. კოვალენკოს სადეპუტატო შეკითხვების საფუძველზე და ანტიფაშისტური ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერებისა და სხვა ორგანიზაციების დაყენებული მოთხოვნით, მოსკოვის პროკურატურამ გადაამოწმა ელგუჯა მესხიას დაპატიმრების კანონიერება და 24 იანვარს მოსკოვის პროკურორის მოადგილემ - ი. სომინმა აცხადა დეპუტატთა ჯგუფს, რომ მესხია დაუკავებიათ "საქართველოს რესპუბლიკის ქალენჯის პროკურორის დაპატიმრების შესახებ სანქციის საფუძველზე (!)". საქართველოს რესპუბლიკის სსკ 73-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, არუ ანტისახელმწიფოებრივ

ორგანიზაციაში მონაწილეობის გამო, რომლის მოდელაგობა მიმართულია კონსტიტუციური წყობის დამხობისკენ."

რუსეთის ფედერაციის პროკურატურაში წყდება მიტინგზე ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით გამოხული ელგუჯა მესხიას ექსტრადიციის საკითხი მაშინ, როდესაც ჯერჯერობით ვერაფრით ვერ მოხერხდა "საერთაშორისო ტერორისტის", საქართველოში მომხდარი მრავალი ტერაქტის ორგანიზატორისა და შემსრულებლის - იგორ გიორგაძის დაპატიმრება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები პროტესტს გამოთქამენ ელგუჯა მესხიას უკანონო დაპატიმრების გამო და რუსეთის გენერალური პროკურატურისგან მოითხოვენ შეჩერდეს საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მიხ გადაცემის საკითხის განხილვა: "... არსებობს სერიოზული საფრთხე ვიფიქროს, რომ მესხიას დევნა საქართველოს პროკურატურის მიმართ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. მრავალი დამოუკიდებელი დამკვირვებელი სერიოზულ შემოთავაზებას გამოთქამს საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ გამოძიებათა გამო, მიუთითებს წამებების გამოყენებაზე. ამდენად, არსებობს საშიშროება პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ანგარიშსწორებისა როგორც ამ კონკრეტულ, ასევე რიგ სხვა შემთხვევაში."

ცნობილია, რომ რუსეთი შეუერთდა გაეროს კონვენციას წამების წინააღმდეგ. ელგუჯა მესხიას საქართველოსთვის გადაცემის შესაძლებლობა ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული კონვენციის მესამე მუხლს, რომელიც კრძალავს პირის ექსტრადიციას,

რუსეთის ფედერაციის პროკურატურაში წყდება მიტინგზე ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით გამოხული ელგუჯა მესხიას ექსტრადიციის საკითხი მაშინ, როდესაც ჯერჯერობით ვერაფრით ვერ მოხერხდა "საერთაშორისო ტერორისტის", საქართველოში მომხდარი მრავალი ტერაქტის ორგანიზატორისა და შემსრულებლის - იგორ გიორგაძის დაპატიმრება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები პროტესტს გამოთქამენ ელგუჯა მესხიას უკანონო დაპატიმრების გამო და რუსეთის გენერალური პროკურატურისგან მოითხოვენ შეჩერდეს საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მიხ გადაცემის საკითხის განხილვა: "... არსებობს სერიოზული საფრთხე ვიფიქროს, რომ მესხიას დევნა საქართველოს პროკურატურის მიმართ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. მრავალი დამოუკიდებელი დამკვირვებელი სერიოზულ შემოთავაზებას გამოთქამს საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ გამოძიებათა გამო, მიუთითებს წამებების გამოყენებაზე. ამდენად, არსებობს საშიშროება პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ანგარიშსწორებისა როგორც ამ კონკრეტულ, ასევე რიგ სხვა შემთხვევაში."

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები პროტესტს გამოთქამენ ელგუჯა მესხიას უკანონო დაპატიმრების გამო და რუსეთის გენერალური პროკურატურისგან მოითხოვენ შეჩერდეს საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მიხ გადაცემის საკითხის განხილვა: "... არსებობს სერიოზული საფრთხე ვიფიქროს, რომ მესხიას დევნა საქართველოს პროკურატურის მიმართ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. მრავალი დამოუკიდებელი დამკვირვებელი სერიოზულ შემოთავაზებას გამოთქამს საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ გამოძიებათა გამო, მიუთითებს წამებების გამოყენებაზე. ამდენად, არსებობს საშიშროება პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ანგარიშსწორებისა როგორც ამ კონკრეტულ, ასევე რიგ სხვა შემთხვევაში."

ცნობილია, რომ რუსეთი შეუერთდა გაეროს კონვენციას წამების წინააღმდეგ. ელგუჯა მესხიას საქართველოსთვის გადაცემის შესაძლებლობა ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული კონვენციის მესამე მუხლს, რომელიც კრძალავს პირის ექსტრადიციას,

თუკი არსებობს სერიოზული ეჭვი ამ პირის მიმართ წამების გამოყენებისა. რამდენადაც არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი მონაცემები საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წამებათა გამოყენების შესახებ ამდენად, მესხიას ექსტრადიციის შემთხვევაში, რუსეთი გახდება ამ წამებათა მონაწილე.

საკუთარი ინფორმაცია

რუსეთის ფედერაციის პროკურატურაში წყდება მიტინგზე ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით გამოხული ელგუჯა მესხიას ექსტრადიციის საკითხი მაშინ, როდესაც ჯერჯერობით ვერაფრით ვერ მოხერხდა "საერთაშორისო ტერორისტის", საქართველოში მომხდარი მრავალი ტერაქტის ორგანიზატორისა და შემსრულებლის - იგორ გიორგაძის დაპატიმრება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები პროტესტს გამოთქამენ ელგუჯა მესხიას უკანონო დაპატიმრების გამო და რუსეთის გენერალური პროკურატურისგან მოითხოვენ შეჩერდეს საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მიხ გადაცემის საკითხის განხილვა: "... არსებობს სერიოზული საფრთხე ვიფიქროს, რომ მესხიას დევნა საქართველოს პროკურატურის მიმართ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. მრავალი დამოუკიდებელი დამკვირვებელი სერიოზულ შემოთავაზებას გამოთქამს საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ გამოძიებათა გამო, მიუთითებს წამებების გამოყენებაზე. ამდენად, არსებობს საშიშროება პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ანგარიშსწორებისა როგორც ამ კონკრეტულ, ასევე რიგ სხვა შემთხვევაში."

ცნობილია, რომ რუსეთი შეუერთდა გაეროს კონვენციას წამების წინააღმდეგ. ელგუჯა მესხიას საქართველოსთვის გადაცემის შესაძლებლობა ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული კონვენციის მესამე მუხლს, რომელიც კრძალავს პირის ექსტრადიციას,

საკუთარი ინფორმაცია



ვახტანგ (ლოთი) ქობალიას ახსნა-განმარტება

(დასასრული. დასაწყისი იხ. "თავისუფალი საქართველო", N7)

სოხუმში დაბრუნებისას, როდესაც ბ-ნი გოგა ხანდრავა გაეცნო ამ დოკუმენტს, აიღო კალამი და უნდოდა ხელი მოეწერა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ეს მისი კომპეტენცია არ იყო და იმ შემთხვევაში, თუ თბილისში ამ შეთანხმების წინააღმდეგ იქნებოდნენ, მას წინა რიცხვით გაათავისუფლებდნენ თანამდებობიდან. ამ დოკუმენტზე ხელი შეგვადრდაძეს უნდა მოეწერა.

იმ დამეს სოხუმში დავრჩით, ჩვენი მეგობრის სახლში. რამდენიმე წუთის

ლები წარმომადგენლებთან, რომ არ შემოეშავთ ის კრიმინალური ბანდები, რომლებიც სოციალური და პარტოკრატული მშვიდობიანი მოსახლეობას, მე მოვითხოვე, რომ შემოსულიყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული ჯარები და პოლიციის ნაწილები. როგორც ვამხივებ, რომ ეს ბანდები, რომლებიც მამის სამთავრობო ჯარებს წარმოადგენდა, ვითომდა არ ემორჩილებოდა თავდაცვის სამინისტროს და მათი შემოსვლა ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი, როცა კი მოესურვებოდათ. მაგრამ ასევე დამიბრდა, რომ მოახსენებდა ცველაფერს სახელმწიფოს მეთაურს და

გეხმარებოდნენ. მე ვთვლი, რომ აფხაზი ისეთივე მოქალაქეა საქართველოსი და ქართველური ტომის წარმომადგენელია, როგორც კახელი, მურული, იმერელი და სხვა. აფხაზებში ქართული ორიენტაციის, სულ ცოტა, 60 პროცენტია, მაგრამ მათ არ უნდათ ეს ხელისუფლება, რომელმაც პროვოკაციული ომი მოუწყო და ბანდები შემოუსია. როგორც ვთქვი, ჩვენთან ერთად წამოვიდა 30-მდე შეიარაღებული კაცი ერთი ბმპ-ით, რათა დაგეხმარებოდნენ ხობიდან მკვდრების გამოყვანაში. ბრძოლაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ და, საერთოდ, ფიზიკურად მანქანიდანაც კი არ ჩამოსულან. ეიმეორებ, აფხაზი ისეთივე ქართველური ტომის წარმომადგენელია, როგორც ჩვენ. ახლა ისე წარმოსახვენ, თითქოს აფ-

გამოძიებას უნდოდა "ნაპოლეონის" სახის უპიძნა

5 მარტის სხდომაზე ლოთი ქობალიამ წაიკითხა შუამდგომლობა, რომელშიც აცხადებს, რომ საბრალდებო დასკვნასა და საქმეში არ არსებობს მის მიერ მიცემული ჩვენებები არსებული რეუმიის მხრიდან დასავლეთ საქართველოში ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებებზე. "უფრო მეტიც, ჩემს მიერ მიცემული ჩვენებები, უმეტესწილად ფაქტების შეგნებული დამახინჯებით, სიმართლეს არ შეეფერება. აგრეთვე, დაშვებულია უზუსტობანი, რაც კონტექსტში განსხვავებულ შინაარსსა და აზრს აძლევს ჩვენებებს. საქმეში არ არის გამოძიების მიმართ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, ჯ. ბაბილაშვილის, მისი მოადგილის, ა. ბაღვაშვილის მიმართ ჩემს მიერ გაცემული საპროტესტო განცხადებები, შუამდგომლობები და ა.შ."

ბის პროცესში მიცემულ ჩვენებებს არავითარი ძალა და აზრი არა აქვს. სასამართლო პროცესზე თქვი შენი სამართლებრივი გადმწყვეტილი მნიშვნელობა სასამართლოს აქვს. ასე რომ, საბრალდებო დასკვნაზე შენი ხელმოწერით არაფერი წყდება და ამას არა აქვს ორიგინული ძალა არც სასამართლოსთვის და არც განაჩენისთვის"-ო.

შეპარდნა აფხაზეთის ომში ჩვენი პოლიტიკოსების წინააღმდეგ იყო

შემდეგ გაიხსნა სროლა. როცა გარეთ გამოვიდნენ და გავარკვეე, აღმოჩნდა, რომ ე.წ. სამთავრობო ჯარების წარმომადგენლები თავს დასხმან. ერთ ქართულ ოჯახს, წაურთმეობით მანქანა, ოჯახის უფროსს თავისი ხელით ჩაატვირთეს ძვირფასეულობა და სხვა თუ რაიმე ჰქონდათ და გაიტაცეს.

მეორე დღეს მივედი გოგა ხანდრავასთან, რათა გამეჩვენა, რა შედეგი გამოიღო ჩვენმა შეთანხმებამ. როგორც ადრე ვუთხარი, ისე მოხდა - შეთანხმება არ იქნა მიღებული. ბ-ნმა გოგამ განმარტება, რომ ეს დოკუმენტი არავითარ შედეგს არ მოგვცემდა და უნდა დაწყებულიყო საომარი მოქმედებები. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვთხოვე ჩვენთვის დეპუტაციას, წასულიყვნენ თბილისში, უშუალოდ შეხვედროდნენ სახელმწიფოს მეთაურს და საბოლოოდ გაერკვიათ მდგომარეობა. როგორც ვიცი, ამას შემდეგ არავითარი გარიგება არ მოჰყოლია.

რაც შეეხება ჩემს შეხვედრას როგორცაა და გვარამიასთან 1993 წლის შემოდგომაზე, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება და განზრახული იყო ჩვენი - კანონიერი ხელისუფლებისა და გვარდიის - ლიკვიდაცია. შემოყვანილი იყო, მე-11-ე თუ არა, რუსეთის არმიის რომელიღაც სხვა ნაწილები, რვა სამხედრო ხომალდი განლაგებული იყო ფოთის მახლობლად, ამასთან, ხელშეკრულება დაიდო რუსეთის ჯარების სარდალთან კავკასიაში, რეუტთან.

ჩვენ ვერ გავუძღვრებოდით რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებს. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე დამეწყო მოლაპარაკებები ფაქტობრივი ხელისუფ-

არ დაუშვებდა კრიმინალების შემოსევას სამხრეთლოზე. ჩვენ დავტოვეთ სამხრეთლო. მაგრამ, შეთანხმების მიუხედავად, ცველაფერი სხვაგვარად მოხდა. როდესაც ჩვენ გავდიოდით აფხაზეთის ტერიტორიაზე, მოგვივიდა ცნობა, რომ ხობში მოსახლეობას თავს დაესხნენ კრიმინალური ბანდები, დახოცეს მშვიდობიანი მოქალაქეები. იმუდებული გავხდით შემოგზრუნებულიყავით, რათა ის მიცვალებულები მაინც გამოგვესვენებინა, რომლებიც ხობისწყლის სანაპიროზე იყვნენ ჩამარხვლები - რამდენიმე ათეული მებრძოლი. ესენი იყვნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას დაღუპულები. მოკლულნი იყვნენ მშვიდობიანი მოქალაქეები: საკუთარ ოჯახში ჩაცხრილეს ქეში, მხატვარი ვახტანგ ნოდია დაიჭირეს და მკლავი მოაჭრეს იმისათვის, რომ მან ზვიად გამსახურდიას პორტრეტი დასატა. მეომარი კი, როგორც მოგახსენეთ, ხობისწყლის ნაპირს ჩამარხეს, ქეშიში. ეს მოხდა ოქტომბრის ბოლოს, რიცხვი უზუსტად არ მახსოვს.

ჩვენ ბომბებს გვიშენდა რუსეთის სამხედრო ავიაცია, სუ-29 ტიპის თვითმფრინავებით. დაიბომბა სენაკის სამშობიარო სახლი, მარტვილის კულტურის სახლი, უნივერსიტეტი. პირადად ჩემს მიერ ჩამოვდებული იქნა ერთი სუ-29 ტიპის თვითმფრინავი და რატომღაც ეს არ წერია საბრალდებო დასკვნაში - ასე თუ ისე, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადა. სულ ორი თვითმფრინავი იქნა ჩამოვდებული: ერთი ტყვიამურტყვევის ჯვრით და მეორე აირსაწინააღმდეგო ჭურვის საშუალებით.

ჩვენები იქ არ იყვნენ. იყვნენ აფხაზები, რომლებიც ჩვენ წამოგვყვნენ, რათა დაღუპულების გამოყვანაში და-

ხაზია ჩვენი მტერი. მოსამართლე - ე.ი. ჩვენები არ იყვნენ?

ვახტანგ ქობალია - მე გუებნებით, იქ იყვნენ აფხაზები, სხვა ვინმე თუ არა მათში - არ ვიცი, გვარები არ მიკითხავს. იქნებ ვიდაც სხვა არა იყ...

მის. - რატომ არ შეუთანხმდით პრეზიდენტს?

ვ. ქ. - პრეზიდენტთან ცველაფერი შეთანხმებული იყო.

მის. - თქვენს ჩვენებაში რომ სხვანაირად წერია?

ვ. ქ. - ჩვენებებში რა წერია, სხვა საქმეა.

მის. - ჩვენებაში წერია, რომ პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტეთ დაგეტოვებინათ ფრონტი და გავეცვანათ პოლიტიკოსები.

ვ. ქ. - რა შეთანხმებები მქონდა პრეზიდენტთან, ამას ვიტყვი შემდგომ.

პროკურორი - თქვენ მარტო გადიოდით, თუ ჯარიც გაგყავდათ?

ვ. ქ. - ჯარი როგორ უნდა გაეყვანა, 7 და 10 ათასი კაცის გაყვანა მე არ შემეძლო.

პროკ. - ე.ი. თქვენი ხალხი ხობში დატოვეთ?

ვ. ქ. - ჩვენი ხალხი ხობშიც იყო, სენაკშიც, მარტვილშიც და ცველაგან. ადგილობრივი მაცხოვრებლები იყვნენ და როგორ უნდა გამეყვანა. მე კი თქვენგან მაინტერესებს, არსებობს თუ არა ბრძანება სამხრეთლოში იმ კრიმინალური ბანდების შემოყვანის შესახებ, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ფაქტობრივ ხელისუფლებას?

უზენაესი სასამართლო 1 მარტი, 1996 წელი

აქმის დაკვეთა პარლამენტის წინ

5 მარტს, პარლამენტის შენობის წინ, ზვიადის პარტიის ინიციატივით, საქართველოს პელსინკის კავშირისა და წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრთა მხარდაჭერით გაიარა საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებიც მოთხოვნდნენ პარლამენტში განსახილველად წარდგენილი მიწის საკუთრებისა და გაყიდვის შესახებ კანონის მიღების შეჩერებას. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში მიწის საკუთრებისა და გაყიდვის უფლების დაკანონება ქვეყნის ინტერესების საზიანოდ იმოქმედებს და უმძიმეს შედეგებს მოუტანს საქართველოს.

აქციას დაესწრო გურამ ყორღანაშვილი, ერთ-ერთი ლიდერი ორგანიზაციისა "მობრძობა სოციალისტების", რომელმაც კაცობრივ სიტყვით გამოხსოვა, რისი შესაძლებლობა მთავარ კაცს. აქციის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ იქვე განხდა მთაწმინდის პოლიციის მუშაკთა ჯგუფი მათი უფროსის, ელგუჯა ჯამბურას მეთაურობით, რომელმაც რაციით სპერანოზი გამოიძახა. ამის გამოთვით ყორღანაშვილი უმაღლესი მომთხრობითა ჯგუფს და გადმოხლდით მხედართმთავრის თვითმკაცოფილებით ერთ-ერთ თავის თანმხლებს დავალება მისცა: "ელგუჯას გადაეცით, რომ ჩემი სახლი გამაყვს"-ო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოსული სპერანოზები დაერინენ აქციის მონაწილეებს და, თებურ მღებრიშვილის უნიკალური სიბილწის გინებით შეგულიანებულბმა, ხელმძღვანელების ქვეით თვით "ფორდში" შეათრეს ლეიდა ცომაია, ეთერ მგალობლიშვილი, ჯულიეტა მიდლიანი. მათ ე.ჯამბურაცი და მებნარა და საგანგებო სისასტიკით წიხლი უთავაზა 76 წლის ბ-ნ შოთა კიკაძეს, შემდეგ კი იქვე დააკავერინა ამით აღმოუთებული ადამიანის დახმარება საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ქ-ნი მაია კერესელიძე. მოგვიანებით მთაწმინდის რ-ნის პოლიციაში დააკავეს ამავე ორგანიზაციის მეორე წევრი ანა ჭავჭავაძე, რომელიც დაპატიმრებულია მდგომარეობის გასარკვევად მივიდა.

დაკავებული იმავე დღეს იქნენ სასამართლებული რაიონული სასამართლოს მიერ და ოთხ მათგანს მიესაჯა ჯარიმის გადახდა.

სასამართლოსთვის მთავარი ორგანიზაციული საკითხების გამარტივება

1 მარტის სასამართლო სხდომაზე განსახილველად - დეპუტატმა ზვიად მიძგორმა წაიკითხა შუამდგომლობა, რომელშიც ის და სრუხარ მოლოდინაშვილი პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ "სასამართლო კოლეგიისთვის, მოსამართლე ალადშვილის თაქმჯდომარეობით, მთავარია ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების გამარტივება და არა კემპარტიების დადგენა". ამის საფუძველს იძლევა ის, რომ: 1. სასამართლო კოლეგიამ, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სიმონ ედენტს, მისი ინტერესების საზიანოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის მოტივით, წაართვა პროცესში მონაწილეობის უფლება. 2. სასამართლო, კვლავ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, გადაწყვიტა დაჰკითხოს ჯერ მსჯავრდებულები, ხოლო შემდეგ მოწმეები იმ მოტივით, რომ დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში გაძნელებდა სასამართლოზე მოწმეთა ორჯერ მოყვანა. ადვოკატები და განსახილველები კი მოითხოვენ ჯერ მოწმეების დაკითხვას, ვინაიდან საბრალდებო დასკვნა შეიცავს ზოგად ბრალდებებს და არ იძლევა უზუსტ განმარტებას მათი ბრალეულობის შესახებ.

4 მარტის სხდომაზე ლოთი ქობალიას საზოგადოებრივადამცველმა, თამარ ლომიშვილმა, მოთხოვა განსახილველად შეხვედრის უფლება ერთნაირი გვარდის არქივის მასალებზე სამუშაოდ, რაზეც მოსამართლე ა. ალადშვილმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივ დამცველებს არა აქვთ თავისუფლების ადვოკატის ადვოკატის განსახილველის სახის უფლება. მისი თქმით, დაცვის საკითხებზე შეთანხმება მათ შეუძლიათ სასამართლო სხდომებს შორის შესვენებების დროს. ამასთან დაკავშირებით სრუხარ მოლოდინაშვილმა მოთხოვა მას გაეკეთებინა დფინიცია ადვოკატისა და საზოგადოებრივი დამცველის უფლებებს შორის და განემარტა, რატომ არა აქვს ამ უკანასკნელს განსახილველთან. ციხეში შეხვედრის უფლება. მოსამართლემ კითხვა უპასუხოდ დატოვა.

ჩვენ გადავწყვიტეთ ფორმირებას გაგვიყვანა ბრძოლიდან

4 და 5 მარტს კვლავ გაგრძელდა ლოთი ქობალიას მიერ წინასწარი ძიების დროს მიცემული ჩვენებების გამოქვეყნება. ამ ოქმების თანახმად, 1993 წლის შემოდგომაზე დაგეგმილი იყო ენგურიდან ცხენისწყლამდე ტერიტორიის დაკავება ერთნაირი გვარდის მიერ, რის შედეგადაც უნდა მოეთხოვათ ფაქტობრივი ხელისუფლებისგან კოალიციური მთავრობის შექმნა და არჩევნების ჩატარება. სამტრედიას და ქუთაისზე შეტევა დაგეგმილი არ ყოფილა, ხოლო რატომ შეიცვალა ეს გადაწყვეტილება, მისთვის უცნობი დარჩა.

აბაშამდე. აბსანძისგან გავიგე, რომ დამხმარე ძალებს მივიღებდით აფხაზეთიდან. მე ამისი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ აბსანძეს არაფერი ვუთხარი. ვუთხარი ლაკიას. ლაკიაც წინააღმდეგი იყო აფხაზების შემოყვანისა. მე და ლაკიამ გადავწყვიტეთ, ჩვენი ფორმირებები გაგვეყვანა ბრძოლიდან.

მე დაუკავშირდი კუკური როგავას, შეეხვი ფოთში ვახტანგ გვარამიას და ვუთხარი, რომ პრეზიდენტი აძირებს აფხაზების შემოყვანას და მე და ლაკია ამის წინააღმდეგი ვართ. ამის წინააღმდეგი იყო სოხუმის ბატალიონიც, რომელიც ჩვენს მხარეზე იბრძოდა. გადაწყვიტეთ, რომ მე პოლიტიკოსებს გაეყვანდი ზუგდიდიდან და ამის შემდეგ სამ დღეში შეეხვედნოდა მათ და გადაწყვიტოდა საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. (...)

ყოველივე ეს მოხდა ჩემი და ლაკიას მიერ. ამის შესახებ არაფერი იცოდა პრეზიდენტმა, აბსანძემ, გელანტიამ და სხვებმა. ეს რომ გაეგოთ, ჩემს მიმართ გამოყენებული იქნებოდა სასჯელის უპაღლესი ზომა.

როცა ჩვენ ჯარები გამოვიყვანეთ საბრძოლო მოქმედების ზონიდან, პრეზიდენტი დავარწმუნეთ იმაში, რომ ხელისუფლების ძალებს ეხმარებოდა რუსის ჯარები და მათთან ბრძოლა გამოიწვედა უაზრო სისხლის ღვრას. ფაქტურად მართლა ეხმარებოდა თუ არა რუსის ჯარი, არ ვიცი. ყოველივე ამან განაპირობა, რომ პრეზიდენტმა, აბსანძემ, გელანტიამ და სხვებმა დატოვეს ზუგდიდი." (სტილი დაცულია)

4 მარტის სხდომა მოულოდნელად შეწყდა, ვინაიდან ლოთი ქობალიას აუწია წინააღმდეგობა და ვეღარ შეძლო პროცესში მონაწილეობის მიღება.

